საჯარო სამართლის
იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY
OF PUBLIC LAW

GEORGIAN TECHNICAL
UNIVERSITY

01-09-38/34
„15" 01 2020

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს,

ნანა ხუნჯუას

„პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს განკარგულებით, 2019 წლის 17 დეკემბერს, აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან დაიწყო საქართველოს გენერალური პროკურორის შერჩევისთვის გასაზღვრული ერთთვიანი კონსულტაციების პროცესი.

კონსულტაციებში მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიკრიბა აკადემიური საბჭო, რომელმაც იმსჯელა საქართველოს გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში წარმოსადგენ კანდიდატურებთან მიმართებაში.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის უმთავრესი დანიშნულებაა დაკავებული თანამდებობის შესაფერისი - მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით, პრინციპულობით წარმართოს საპროკურორო საქმიანობა და სისტემის მენეჯერული ზედამხედველობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების- 15.01.2020 01-05-04/11 თანახმად გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოგიდგენთ

01/13-37-9
16. 01. 2020 ნ.

საქართველო, 0160, თბილისი, კოსტავას 77
(995 32) 2365362
www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

77, Kostava Str, 0160, Tbilisi, Georgia
(995 32) 2365362
www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული მოწვეული ასოცირებული პროფესორის - ირაკლი შოთაძის კანდიდატურას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კანდიდატი არსებულ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს. მოწვეულია რა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად ირაკლი შოთაძე, როგორც დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტი, პროფესიული თვისებების გამო სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით აკადემიურ წრეებში. ირაკლი შოთაძის გადაწყვეტილებები, მისი პოზიცია ზედმიწევნით დასაბუთებულია და არგუმენტებულია, რაც მეტად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისას.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია წარმოდგენილ კანდიდატს აქვს საქართველოს პროკურატურაში მუშაობის და პროკურატურის ხელმძღვანელობის არაერთწლიანი გამოცდილება. იმის გათვალისწინებით, რომ ირაკლი შოთაძემ სტაჟირებით დაიწყო პროკურატურაში მუშაობა და საკუთარი პროფესიული, ზნეობრივი თვისებებით მიაღწია და გახდა საქართველოს მთავარი პროკურორი, მან არა მხოლოდ ამ ინსტიტუტის ზოგადკონცეპტუალური, არამედ პროკურატურის ტერიტორიული დანაყოფების, თითოელი პროკურორის წინაშე არსებული ვიწრო პროფესიული გამოწვევებიც იცის; მათ შორის პროკურატურის თანამშრომელთა საჭიროებები, კარგად იცნობს მათ შესაძლებლობებს და აქვს პროკურატურის განვითარების ხედვა. ირაკლი შოთაძე აქტიურად მუშაობდა საქართველოს პროკურატურის, როგორც გამჭვირვალე, პრინციპულ და მიუკერძოებელ სრუქტურად ჩამოყალიბების კუთხით.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გამო, პიროვნული თუ პროფესიული თვისებების გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წარმოგიდგენთ ირაკლი შოთაძის კანდიდატურას გენარალურ პროკურორის პოზიციაზე.

პატივისცემით;

რექტორი (აკადემიური საბჭოს თავჯდომარე)

აკადემიკოსი

არჩილ ფრანგიშვილი

ირაკლი შოთაძე

- დაბადების თარიღი - 07.08.1983 წელს, ქ.თბილისი, საქართველო.

განათლება

- 2000-2005 წლები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება

- მარტი 2019 წ. - დღემდე - ს.ს. "სილქნეტი" იურიუდიული კონსულტანტი;
- ნოემბერი 2018 წ. - დღემდე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი;
- 27.11.2015 წ. - 31.05.2018 წ. - საქართველოს მთავარი პროკურორი;
- 21.11.2013 – 27.11.2015 წწ. - საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე;
- 14.06.2013 – 21.11.2013 წწ. - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი;
- 05.11.2012 – 14.06.2013 წწ. - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- 10.09.2010 – 05.11.2012 წწ. - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;
- 28.07.2009 – 10.09.2010 წწ. - საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორი.
- 04.10.2006 – 28.07.2009 წწ. - ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი;
- 02.06.2006 – 04.10.2006 წწ. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში, საგარეო

დაზვერვის სპეციალურ სამსახურში, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სტაჟიორი;

- 07.03.2006 – 03.04.2006 წწ. - საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტი.

■ უცხოური ენები

ინგლისური, გერმანული და რუსული.

■ ოჯახური დამგომარეობა

მეუღლე და ორი შვილი.